DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

HUMBOLDT-UNIVERSITÄT ZU BERLIN

პრესრელიზი

07.09.2014

გერმანულ-კავკასიური საზაფხულო სკოლა „ევროპული სისხლის სამართალი“

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები არ არიან, მიუხედავად ამისა ისინი ევროპასთან კულტურულად, პოლიტიკურად და ისტორიულად მრავალმხრივ კავშირში იმყოფებიან. როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები ისინი ერთის მხრივ დაქვემდებარებულნი არიან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარანტიებს, მეორეს მხრივ კი იმყოფებიან ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, რომელიც მათ ამავე დროს გარკვეულ სისხლის სამართლებრივი რეგულაციებს ავალდებულებას.

გერმანულ კავკასიური საზაფხულო სკოლის მიზანია გერმანელი სისხლის სამართლის მეცნიერებების მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სტუდენტებისა და სამართალ პრაქტიკოსებისთვის ევროპულ სისხლის სამართალში სემინარების შეთავაზება. დევიზით „მშვიდობა სამართლის მეშვეობით“ შესაძლებელი ხდება გერმანული სამართლებრივი გამოცდილებისა და კონფლიქტების მოგვარების კავკასიური ხედვის გაზიარება, აგრეთვე სამივე ქვეყნის მონაწილეთა შორის შიდაკავკასიური დიალოგის ჩამოყალიბება, რომელიც ამავე დროს ეფექტური მართლწესრიგის მთავარი წინაპირობაა.

მესამე გერმანულ კავკასიური საზაფხულო სკოლა ბათუმში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში იმართება. იგი შემდეგი თემებისგან შედგება: შესავალი ევროპულ სისხლის სამართალში, ევროპული ეკონომიკური სისხლის სამაართალი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. საზაფხულო სკოლის დოცენტები არიან პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი, პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) და პროფ. დოქ. ბერნდ ჰეკერი (ტრირის უნივერსიტეტი).

ყველა მონაწილე მიიღებს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის-გან სერტიფიკატს. მოხსენებები წარიმართება გერმანულ ენაზე. შეთავაზებულ იქნება სინქრონული თარგმანი ინგლისურ ენაზე. დაახლოებით 150 კანდიდატიდან პროექტში არჩეულ იქნა 30 მონაწილე სომხეთიდან (5), აზერბაიჯანიდან (5) და საქართველოდან (15).

გერმანულ კავკასიური საზაფულო სკოლა ხორციელდება ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ, გერმანიის აკადემიური სამსახურის (DAAD) ფინანსური დახმარებით და საქართველოს საკოსტიტუციო სასამართლოს აქტიური მხარდაჭერით.

<u>ორშაბათს, 8 სექტემბერს 09:30 საათზე დაგეგმილია ღონისძიების გახსნა, ხოლო შაბათს, 13 სექტემბერს 14:00 საათზე საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართება ღონისძიების ოფიციალური დახურვა</u>. ყველა მონაწილე საზეიმოდ მიიღებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტისგან სერტიფიკატს.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ იხილოთ: http://batumi.rewi.hu-berlin.de;

<u>საკონტაქტო პირი:</u>

ნინო მთვარელიშვილი: <u>+995 593 799 307</u>

საუკეთესო სურვილებით,

დავით ჩიხლაძე,

საზაფხულო სკოლის კოორდინატორი